წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ოთხშაბათი, 14 სექტემბერი

# სამშობლო

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით 7 კ.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელ... სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე... ბულ განცხ დებათა ფასი: სტ... პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისს ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 437 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 437

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტატსკი სოვეტნიკი იოსებ თადეოსის ძე სანებლიძე, ვერა ალექსის ასულის ანებლიძისა, შალვა სანებლიძე და ანნა ფხაკაძისა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ პირველ ორის ძვირფას ქალიშვილის, მესამისა დის და მეოთხის ძვირფას შვილის-შვილის, უმაღლეს კურსების მსმენელის

## ნინო იოსების ასულის სანებლიძის

სულის მოსახსენებლად ოთხშაბათს 14 სექტემბერს დილის 10 საათზე საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი.

ღრმად დამწუხრებული ქვრივი ქსენია ეგნატეს ასული, დაობლებული პატარა ლევანითურთ, გულდათუთქულნი მშობლები ბესარიონ თომას ძე და სუსანა პეტრეს ასული, დები ნინა და ელისაბედ ბესარიონის ასულნი, ძმები ბიქტორ და გიორგი ბესარიონის ძენი ლორთქიფანიძეები, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 9 ივლისს ბრძოლის ველზე გმირულად დაიღუპა **პრაპორშჩიკი**

## ვალენტინ ბესარიონის ძე ლორთქიფანიძე

დღეს, 14 ენკენისთვეს, დილის 11 საათზე, მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, განსვენებულის სულის მოსახსენებლად. 305—1—1

ქვრივი ნინო მამუკას ასული ხოჭოლავასი, მამა, ძმები, დები, სიძეები, რძლები, სიდედრი თურქიასი, ცოლის ძმები, ცოლის დები და ქვისლები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 10 სექტემბერს ქალ. პიატიგორსკში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პოდპოლკოვნიკი

## ბიქტორ ივანეს ძე ხოჭოლავა.

ნეშთის ქუთაისში მოსვენების და დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

## იყიდება

ქ. ქუთაისში, სტეფანე ფეიქაროვის სავაჭროში, ყურძნის საქაჩავი და ყურძნის საწური. ვურჩევთ სოფლის ბანკებს და კოოპერატივებს შეიძინონ გასავრცელებლად სოფლის მეურნეთა შორის ზემოხსენებული საქაჩავი, ვინაიდგან იგი დიდ დახმარებას გაუწევს მათ მუშა ხელის ნაკლებობის გამო. თ.

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საქიმიო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ასალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნ ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

## იყიდება ბოჭკები

ღვინის დასამზადებელი ბოჭკები, მთელი მოწყობილებით, შეიძლება ქირითაც. წერილობით მიმართვა შეიძლება ამ რიგად: ვასილევისას, ფოსტის ყუთი № 67, ქუთაისში.

296—1—3

**ექიმი** ა. მ. **ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ექიმი** ი. **ჩარეძოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^{1}/_{2}$— 2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

ელექტრო **„რადიუმ“** თეატრი

ორშაბათიდან, 12 სექტემბრიდან:

## აჩრდილი წარსულისა.

## დაცვენილი ფოთლები

დიდი მხატვრული დრამა 4 ნაწილად.

ღვინის კეთება კავკასიაში.

**გულგატეხილი აშიკი** კომიკური.

**ანონსი:** პარასკევიდან 16 სექტემბრიდან

## ვინ დაღუპა.

თანამედროვე დრამა სამ ნაწილად; ბარანცევიჩის, მირატის, ჯემაროვის, სოტნიკოვის და კნორრის მონაწილეობით; ბარანცევიჩის ნოველის „ტყის დარაჯი ქალი“-ს მიხედვით

## ბიძია არშიყობს.

სახუმარო. კოროტიშკინის მონაწილეობით.

ელექტრო **„ამპირ“** თეატრი

ორშაბათიდან, 12 სექტემბრიდან:

## გზას აცდარი ცხოვარი.

დრამა 4 ნაწ პროლოგით.

**ქრონიკა გომონი**

მიმდინარე ამბები.

**ანონსი:** პარასკევიდან 16 სექტემბრიდან

ვისაც უყვარს, ის გაიგებს.

ორიგინალური დრამა 4 ნაწ. მხატვართა ცხოვრებიდან ჩერნოვას და ტურჟანსკის მონაწ.

ცოლის შერთვა მინდა.

სახუმარო.

## განცხადება.

1 ოქტომბრიდან გაიხსნება ჭრა-კერვის კურსები კატო ალიხანაშვილისა.

კურსი ერთწლიანი იქნება. მოსწავლე ქალები ერთი წლის შემდეგ მიიღებენ **შესაფერ ატესტატს.** მსურველთ შეუძლიათ პირობების გაგება და ჩაწერვა დადიანის ქუჩაზე პატარიძის სახლში, გელაშვილთან. სათანადო ნებართვა მთავრობისა კურსების გახსნაზე უკვე მიღებულია. მოწაფეთა რიცხვი განსაზღვრულია 25-ით. პირველი კურსები უკვე დასრულდა და მოსწავლეებმა შესაფერი ატესტატებიც მიიღეს.

297—3—1 **კურსების გამგე კატო ალიხანაშვილისა.**

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბი საბან.**

11 ენკენისთვე.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. ნაროჩის ტბის სამხრეთ დასავლეთით 8. ენკენისთვეს მოპირდაპირემ მოშხამული გაზის დახმარებით ერიში მოიტანა, რომელმაც 2 საათს გასტანა. მოვიგერიეთ ზარბაზნებისა, თოფებისა და ტყვიისთფრქვეველების სროლით. ბარანოვიჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფ. დარევოსა და ლაბუზის მიდამოებში მოპირდაპირე მოშხამულ გაზით გაგვიმასპინძლდა.

**კავკასიის ასპარეზი.** გიუმიანის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი მოწინავე რაზმები მტრის სადარაჯოებს დაეცნენ და ოსმალებს დიდი ზარალი მიაყენეს. რადგანაც წამოღება ვერ მოხერხდა მტრის ბანკში დარჩენილი ავლა-დიდება ცეცხლს მივეცით. შავ ზღვაზე, ჩვენმა ნაღმოსნებმა ერეგლის ნავთსადგურში 3 ორთქლმავალი და რამოდენიმე იალქნიანი გემი დაღუპა. გემები ქვანახშირით იყო დატვირთული.

12 ენკენისთვე.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. პრიპიატიდან რუმინეთის საზღვრებამდე ადგილ-ადგილ მედგარი ბრძოლაა. ზემო სერეტში, ტანავე-ჩარბუზას მიდამოებში მოპირდაპირემ ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია ჩვენს შეტევას, მისი შემოტევა მოვიგერიეთ. ტყვედ წამოვიყვანეთ 1500 ავსტრო-გერმანელი.

**კავკასიის ასპარეზი.** ზღვის პირის მიდამოებში, ელეუს სამხრეთით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით წინ წაიწია.

11 ენკენისთვე.

**ლონდონი.** ოფიციალური ცნობა. 9 ენკენისთვეს დუვრის მახლობლად ნაშუადღევის 3 საათზე გამოჩნდა გერმანელების ჰიდრო პლანი. საჰეროპლანო ზარბაზნები ავახმაურეთ. რამდენიმე ჩვენი მფრინავი გამოეკიდა მტერს, რომელიც სამი ყუმბარის ჩამოგდების შემდეგ, ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიეფარა. ზარალი არ მოგვსვლია.

10 სექტემბერს ჩვენმა საზღვაო ჰაეროპლანებმა იერიში მიიტანეს მოპირდაპირის ჰაეროდრომზე სან-დენივესტერში და საგრძნობი ზარალი მოაყენეს.

**რიგა.** 10 სექტემბერს გერმანელების ახალმა ჰაეროპლანმა რიგაზე იერიში მოიიტანა. ჰაეროპლანი ძალიან მაღლა ფრენდა და მალე მიეფარა.

**მუკდენი,** სინტაორის სადგურთან ჩინელებმა სროლა აუტეხეს იაპონელების პატრულს, მოჰკლეს ერთი. ბამანჩენის მახლობლად მძიმედ დასჭრეს იაპონიის სასურსათო ტრანსპორტის მხლებელი. იაპონიის კონსულმა რჩევა მისცა იაპონელებს, რკინის გზის ფარგალს ერიდეთ, ან ჩინელი მხლებლები გაიყოლეთ ხოლმეო.

**ბუქარესტი** რუმინიის ოფიც. ცნობა. ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზსა და ყალიმანის ხაზზე ჩვენ კვლავ ვუტევთ მტერს. ტყვედ წამოვიყვანეთ 75 კაცი და 1 ტყვიისფრქვეველი.

სიმიუს და გერმანშტატის აღმოსავლეთით იერიშით მივედით და მტერი უკუ ვაგდეთ. აქ ტყვედ წამოვიყვანეთ 30 მეომარი და წამოვიღეთ 5 ტყვიის ფრქვეველი. ჯიუს ველში ადგილობრივი ხასიათის ბრძოლაა, მტერი უკუვაგდეთ. ხელთ ვიგდეთ 2 ტყვიის ფრქვეველი. დობრუჯაში ჩვენმა მარცხენა ფრთამ წინ წაიწია. აქ ტყვედ წამოვიყვანეთ 1 აფიცერი და 53 მეომარი.

**პარიზი.** ოფიც. ცნობა. სომას ჩრდილოეთით ღამემ მშვიდობიანათ გაიარა. სომას სამხრეთით, სხვადასხვა ადგილას ძლიერი ბრძოლაა ზარბაზნებით. სხვა ადგილებშიაც ზარბაზნების ბრძოლაა პროჟექტორებით.

9 ეკენისთვეს 56 ბრძოლა იყო მფრინავებისა. მტრის 41 საფრენი ჩამოვაგდეთ. 4 სხვა საფრენიც ძირს დაეშვა, მაგრამ ვერ გავარჩიეთ სად დაეცა. სომას მიდამოებში ჩვენმა 16 ჰაეროპლანმა იერიში მიიტანეს ფენსა, ენსა, რუალზესა და ერვალზე, სადაც 80-დე ყუმბარა ისროლეს 120 ყალიბისა. სუასონის ჩრდილო-აღსავლეთით 20 ყუმბარა ესროლეს ავტომობილების სახელოსნოს. მფრინავებმა შეამჩნიეს აფეთქება. 10 ეკენისთვეს ღამე მარკუენის მიდამოებში კანგრეს სამხრეთ-დასავლეთით ფრანგების დირიჟაბლმა რკინის გზაზე მიიტანა იერიში.

დოირანის ტბის მიდამოებში ქვეითა ჯარის მოქმედება არა ყოფილა. აქ უამინდობა აფერხებს სამხედრო მოქმედებას.

**ლონდონი** .კეპტოუნიდან ოფიციალი ცნობაა 3 ენკენისთვის თარიღით: პორტუგალიის ჯარმა მდ. როვამა გასცურა გერმანელების კუთვნილ აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში და წინ მიიწევს. აიღეს მოპირდაპირის რამდენიმე პოზიცია.

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** რუმინიის საზღვრიდან მდ. პრიპიატამდე ალაგ-ალაგ მკაცრი ბრძოლები მოხდა. ავსტრიელები დიდ წინააღმდეგობას უწევენ და ყოველ ღონეს ღონობენ რუსების წინსვლა შეაჩერონ.

ასპარეზის დანარჩენ ნაწილში სიწყნარეა.

**კავკასიის ასპარეზი.** შავი ზღვის ახლოს რუსებმა ოდნავ წინ წაიწიეს. საერთოდ მდგომარეობა უცვლელია.

**დასავლეთის ასპარეზი** მდ. სომმაზე სასტიკი ბრძოლებია და მოკავშირენი წინ მიიწევენ. ვერდენთან მდგომარეობა უცვლელია.

**იტალიის ასპარეზი.** უმნიშვნელო ბრძოლებია.

**მაკედონიის ასპარეზი.** ყველგან საარტილერიო ბრძოლაა.

**რუმინიის ასპარეზი.** ჩრდილოეთით რუმინიელებმა წინ წამოწეული ავსტრიელები შეაჩერეს, დობრუჯაში კი წინაც წაიწიეს, დაწვრილებითი ცნობები არ მოსულა.

---

**ქრისტიანია.** სკანდინავიის სახელმწიფოთა მინისტრების თათბირი დასრულდა. თათბირის დადგენილებანი ხვალ გამომჟღავნდება. 2 საათზე მეფესთან გამოსათხოვარი საუზმე გაიმართა. საღამოს 6 საათზე, შვეციელი და დანიის მინისტრები სამშობლოსაკენ გაემგზავრენ.

**პარიზი.** მახლობელ აღმოსავლეთის ცნობა. სტრუმის მარცხენა ნაპირას კოპივის ჩრდილოეთით, თაინოსის ტბის მიმართულებით ინგლისელებმა ძლიერი იერიში მიიტანეს ბულგარელებზე. ბელეშის მთიდან კირდარიმდე ძლიერი ბრძოლა განახლდა ზარბაზნებით. ცრნის აღმოსავლეთით სერბიელებმა კაიმაყჩალანის ჩრდილო დასავლეთით წინ წაიწიეს და ტყვეები წამოიყვანეს. მარცხენა ფრთაზე ბულგარელების მედგარი იერიშები მოიგერიეს „1550“ სიმაღლესთან და მტერი დიდათ დააზარალეს. ფლორინის ჩრდილო დასავლეთით მოკავშირეთა ჯარმა წინ წაიწია.

**ლონდონი.** საფრანგეთში მომქმედ ინგლისის ჯარის მთავარ ბანაკის ცნობა. დავღუპეთ მოპირდაპირის 3 საფრენი, 5 დავაზიანეთ. ჩვენ 5 საფრენი დაგვაკლდა.

**ტოკიო.** მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა 1917 წლის ხარჯთ აღრიცხვა. ჩვეულებრივი შემოსავალი ნავარაუდევია 547 მილიონი იენი, საგანგებო—500 მილიონი. ჩვეულებრივი ხარჯი 417 მილ. იენი, არაჩვეულებრივი—180 მილ. მომავალი წლიდან 7 წლის განმავლობაში უნდა ააშენონ 3 ზედრედნოუტი, 2 კრეისერი დრედნოუტი, 9 მსუბუქი კრეისერი, 7 კონტრ ნაღმოსანი, 8 წყალქვეშა, 2 ტრანსპორტისა და ბოლორია გემი. ამისათვის გადადიოდა 258 მილიონი იენი.

**ბირანი.** იაპონიის კონსულმა კვანტუნის პროვინციის ჯარის სარდალს მოთხოვნილობა წარუდგინა, დაუყოვნებლივ გაიყვანეთ ჩინეთის ჯარი ნაილინსიანისა და რავიუსიანის მიდამოებიდან 50 ვერსის მოშორებით და აგრეთვე 15 ვერსის მანძილზე მოაცილეთ ჯარი გუნჩჟულიმ-ჩანლისიანის რკინის გზის მიდამოებსაო.

**პარიზი.** კალედან იტყობინებიან: პარასკევს, თორმეტის ნახევარზე ახალი ტიპის ცეპელინი გამოჩნდა ქალაქის თავზე, მაგრამ დროზე შეამჩნიეს, პროჟექტორებმა შუქი მიაყენეს და ზარბაზნებმა სროლა აუტეხეს. ცეპელინი ძალიან მაღლა ავიდა და მიეფარა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

შვეციიდან და ნორვეგიიდან გასაოცარ ამბავს ატყობინებენ „მორნინგ პოსტს“. ამ ორივე სახელმწიფოში შავი ხურდა ფული ისე შემცირებულა, რომ მისი სიცოტავე ცუდ მდგომარეობაში აყენებს მუშტარს-მოვაჭრეებს. როგორც ირკვევა გერმანელი მეზღვაურები და მოგზაურები მრავლად ეზიდებიან შვედურ და ნორვეგიულ სპილენძის ფულს გერმანიაში, სადაც დიდი სიცოტავე ყოფილა სპილენძისა.

— —

ლონდონის სავაჭროების მთელ რიგს გამოუკრავს განცხადება, ომის შემდეგ ჩვენ აღარ განვაახლებთ ვაჭრობას გერმანიასთანო. ხალხს მოსწონებია ვაჭრების ასეთი პატრიოტობა და მისწყდომია მათ სავაჭროებს, მაგრამ წარმოუდგენელი იყო მათი აღშფოთება, როდესაც გაიგეს, რომ ნაყიდი საქონელი გერმანული ქარხნების მიერ ყოფილიყო დამზადებული. ინგლისელი ეკონომისტები ამის გამო იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მოითხოვენ მთავრობამ განსაკუთრებულის კანონით აკრძალოს გერმანულ საქონლის შეზიდვა ინგლისში, როგორც ეხლა ისე ომის შემდეგ.

— —

კოველ-სარნის რკინის გზის მიდამოებში გერმანელები თავის ჯარს ამრავლებენ. აქ მოუტანიათ მათ 200 ახალი ზარბაზანი და სხვა ასპარეზებიდან 70 ათასი კაცი გადმოუყვანიათ.

— —

ერთი ბულგარული გაზეთი ასე აფასებს მოკავშირეთა სალონიკის საექსპედიციო კორპუსის მდგომარეობას.

გენ. სარაილი სამუდამო ხიფათშია ჩავარდნილიო. ჩვენი ჯარი, რომ თავდაცვითაც დაკმაყოფილდეს მაშინაც კი ვერ შესძლებს იგი ვერაფერსა და თუ გერმანელ-ბულგარელები ამოძრავდნენ, მისი ბოლოს მოღება ერთი იქნებაო.

— —

ჰინდენბურგს უთქვამს ჟურნალისტებისთვის, მართალია ჩვენ ჯარს გაუჭირდება მოქმედება, მაგრამ მაინც იმედი მაქვს გამარჯვებისა; გერმანელები მკვიდრად არიან, როგორც დასავლეთით ისე აღმოსავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით.

— —

ბულგარეთის ჰაეროპლანები რუმინიის პოსტს კონსტანცას თავს დასტრიალებდნენ, ყუმბარების ჩამოყრას ლამობდნენ მაგრამ ეს ვერ მოახერხეს.

— —

რომის პაპს მეომარ სახელმწიფოებისთვის მიუმართავს, ავსტრიელები აპირებენ ვენეციას ყუმბარები დაუშინონ და ზომები მიიღეთ, რომ ეს არ მოხდესო.

— —

ბელგიაში გერმანიის მთავრობა მცხოვრებლებს და ბანკებს ვალად ხდის მილიარდ ფრანკის ღირებულების კუპონები იმ სესხისა, რომელსაც მთავრობა მალე გამოუშვებს უეჭველად გაანაღდონ.

— —

ხმებია საბერძნეთის მეფე მალე მინისტრთა კაბინეტს ვენიზელოსს მიანდობს და ეხლანდელს დაითხოვსო.

— —

ამ ჟამად გენ. ბრუსილოვის განკარგულებაში 60 ათასი რუმინიის ჯარი ყოფილა.

— —

გაზეთი „ფორვეცი“ არწმუნებს მკითხველებს, რომ ზავზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანია თავს დამარცხებულად იცნობსო.

— —

ამ დღეებში საბერძნეთში უნდა მომხდარიყო დიდად მნიშვნელოვანი სატახტო კრება.

ტახტის მემკვიდრეს განუცხადებია. თუ მოკავშირეები მამაჩემს აიძულებენ ტახტიდგან ჩამოსვლას, არც მე და არც ჩემი ძმები არ ისურვებენ გვირგვინის თავზე დადგმასო.

— —

1 ივლისიდან მოკავშირეთა დავლა შემდეგი ყოფილა: ზარბაზნები ფრანგებს ხელთ უგდიათ 145, ინგლისელებს 109, იტალიელებს 36, ტყვიის მფრქვევლები: ფრანგებს—739, ინგლისელებს—223, იტალიელებს 92; ტყვეები: ფრანგებს—33,699, ინგლისელებს—21450, იტალიელებს - 22,048.

— —

სალონიკის ასპარეზზე მოკავშირეთა ჯარი მონასტრისაკენ მედგრათ მიიწევს წინ.

— —

ერთი ინგლისელი კორესპონდენტი სომმის ასპარეზიდან იტყობინება: გაკვირვებული ვარ გერმანიის არტილერიის სუსტი სროლითაო.

— —

ინგლისური გაზეთები სწერენ: ჩვენი ჯარი მხოლოდ ეხლა იწყებს მოქმედებას. პოზიციური ხასიათის ბრძოლების ხანამ უკვე განვლო და ეხლა ფართე სამანევრო ბრძოლები დაიწყებაო.

— —

ნამდვილი არ გამომდგარა ის ხმები, ვითომც საბერძნეთს სწადდეს პროტესტი გამოუცხადოს ბულგარეთს ქ. კავალის დაპყრობის გამო.

— —

გერმანელები დარწმუნებული ყოფილან, რომ საბერძნეთის ახალი კაბინეთი სულ ერთიან გერმანოფილებისაგან შესდგება და თვით პრემიერი მოკავშირეებს მტრულად ეპყრობაო.

— —

ამბობენ—საბერძნეთის ახალმა კაბინეთმა თავს იდვა საბერძნეთში ანარქიის მოსპობაო.

— —

„უტრო როსსი-“ს ცნობით საბერძნეთს მოუთხოვია ბულგარეთისთვის ტყვეთ წაყვანილი ჯარი დააბრუნეთო. ამბობენ, თუ ბულგარეთმა უარი შემოუთვალა საბერძნეთი მას ომს გამოუცხადებსო

— —

გერმანიის ქალ. ხემნიცში გაუგია თუ არა ხალხს, რომ მდ. სომმაზე ბევრი ამ ქალაქის მცხოვრები მუშები დახოცილან, მანიფესტაცია მოუხდენიათ; ქუჩა ქუჩა დადიოდენ და გაიყიროდენ: „ძირს ომი და ჯალათი იუნკრები“-ო.

— —

სალონიკში აჯანყებულ საბერძნეთის ჯარის რიცხვი 24,000 უდრის.

— —

ცენტრალ. სახელმწიფოების პრესა იკვეხის—დობრუჯაში ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვაო. მოკავშირეთა სახელმწიფოების სამხედრო ავტორიტეტები კი იძახიან, პირიქით რუმინიამ მცირე ძალებით ბულგარელ გერმანელთა მოზღვავებულ ჯარის შეჩერება შესძლო და მტერმა მხოლოდ შეუიარაღებელი ფორტები ჩაიგდო ხელშიო.

## სამხედრო მიმოხილვა.

გუშინდელ ჩვენ წერილში ის აზრი გავატარეთ, რომ ომის დღევანდელ პირობებში გერმანელებს შეძლება არა აქვთ აქტიობა გამოიჩინონ და რომელიმე მხარეს ფართე შეტევა აწარმოვონ, და, მაშასადამე, უნდა მარტო თავდაცვას დაყაბულდნენ.

სამხედრო ხელოვნებაში ცნობილია, რომ ის პირობები, რომელიც ხელსაყრელია თავდაცვისათვის სრულიად არ ვარგა შეტევის წარმოებისათვის და, პირიქით, შეტევისთვის ხელსაყრელი მიხვეულ-მოხვეული ბრძოლის ხაზი დამღუპველია თავის დამცველ მეომარ მხარისათვის.

მოკავშირეების შეტევამ იმ დროს მოუსწრო სწორედ გერმანელებს, როდესაც მათი ბრძოლის ხაზები არ იყო გასწორებული. რაკი გერმანიამ მიმართა თავდაცვის ტაქტიკას, მაშასადამე იგი უნდა ცდილიყო შეექმნა თავდაცვისათვის სათანადო პირობები და ამისთვის კი როგორც აღვნიშნეთ საჭირო ასპარეზების შევიწროება იყო მართალია, თუ ბრძოლის ხაზი ყველგან შეამოკლა, რამდენადაც ეს შეიძლება, შესძლებს გერმანია გამაგრებას და გაუმკლავდება მოპიდაპირეებს. მხოლოდ ეს არ იქნება ხანგრძლივი და ასეთი ტაქტიკა არც თვით გერმანელების ინტერესებს ეთანხმება, რომლებიც ქვეყნიერების დაპყრობაზე ოცნებობენ.

გერმანელების უკან დახევა წინ წამოწეულ ასპარეზებიდან არც ისე მალე და ადვილად მოხდება.

მათ სწორედ იმ ადგილებში, სადაც მათ უკან უნდა დაიხიონ დიდი და მკვიდრი სიმაგრეები აღმართეს, რომლის აღებაც დიდ მსხვერპლსა დ დიდ უნარს მოითხოვენ. აშკარაა, მოკავშირეებს დიდი დაბრკოლება დაუხვდებათ წინ გერმანიის ტერიტორიის დაპყრობის დროს, სწორედ აქითკენაა გერმანელთა ცდაც მიმართული.

მოკავშირეთა ჯარისა და სამხედრო მასალის სიუხვე, აი რა აფიქრებდა მუდამ გერმენელთ.

როდესაც ერთხელ ფელდმარშალ ჰინდენბურგს ჰკითხეს, რათ შეაჩერე წინსვლა (აღმოსავლეთი პრუსიის გერმანელების მიერ უკან დაბრუნებისას იყო ეს ამბავი) და მამაც პრუსიელებს რატომ არ უშვებ წინაო, ჰინდენბურგმა უპასუხა: ჯერ ამის დრო არ მოსულა, რუსებს ბევრი ჯარი ჰყავთ, ისე რომ ერთ გერმანელ ჯარის კაცზე ათი რუსის ჯარის კაცი მოდისო; ეხლა მე იმის ცდაში ვარ, რომ გერმანელ ჯარის კაცს წინ 10 რუსი კი არა, არამედ 9 და ან 8 ყავდეს, შემდეგ ვეცდები ეს რიცხვი თანდათან შევამცირო და, როცა ერთ გერმანელს წინ მხოლოდ ერთი რუსი დაუდგება, აი მაშინ, არამც თუ ჯარი გაუშვა წინ, თვითონ მე გავიჭრები წინ და თან ჯარს გავიყოლებო. აი მთელი აზროვნება გერმანელ მთავარ სარდლის თუ უბრალო ჯარის კაცისა.

ორი წლის განმავლობაში ამ აზრის განხორციელებას სცდილობდენ გერმანელები. თითო ოროლა შემთხვევის გარდა ისინი ძალიან უბრთხილდებოდნენ თავის ცოცხალ ძალას და ტყვია-წამალს.

დღეს ომის ამ განსაკუთრებულ მომენტში გერმანელები ამაგრებდენ იმ პოზიციებს, რომლებიც უნდა დასტოვონ, რათა მოწინააღმდეგეს ძვირად დაუჯდეს იგი და ამნაირად თანდათან გერმანელებს სურთ შეასუსტონ მოკავშირეები.

სხვათა შორის გერმანელები თავის იმედებს ამყარებენ იმ გარემოებაზე, რომ მოკავშირეთა ძალები დაქსაქსულია და მათი ჯარი ბევრ ალაგს თითქმის სრულიად უმოქმედოთ სცდება.

მაშასადამე თავის მაგარ პოზიციებზე მოწინააღმდეგეთა ძალის შესუსტება მისი ჯარების დაქსაქსვა და საკუთარ ძალების და მატერიალურ შესაძლებლობის გაბრთხილება, აი რის იმედია აქვს გერმანიას დღეს და აი რატომ არ უშვებს ჯერ იგი დაბლა თავის სისხლიან მახვილს.

შვერდი.

---

**ქ. ქუთაისი, 14 ენკენისთვე.**

**დემოკრატიული ცრუმორწმუნეობა**

ჩვენში გამეფებულ, მეტათ შაბლონურ შეხედულების მიხედვით ყველაფერი, რასაც კი არ აზის დემოკრატიული ბეჭედი დასაგმობი და განსადევნია.

უნდა მოისპოს თავად-აზნაურობა, როგორც გარდამავალი, დღევანდელი ცხოვრებისათვის გამოუსადეგარი, მისი შემაფერხებელი სოციალური კატეგორია.

არსად არ უნდა ჰქონდეს ადგილი არა დემოკრატიულ პოლიტიკურ წყობილებას; ყოველგან და ყოველთვის დემოკრატიულ პრინციპს უნდა მიეცეს უპირატესობა; ვინც ამგვარი შეხედულების წინააღმდეგია, იგი რეაქციონერის, ან უკეთეს შემთხვევაში, კონსერვატორის სახელით არის მონათლული.

წინად, არავის არ შეეძლო, და ვერც გაბედავდა, ეთქვა რამე ამნაირ უკიდურესი აზროვნების წინააღმდეგ, მაგრამ ჟამთა ვითარების გამო საგრძნობლად შეიცვალა ჩვენი პოლიტიკურ-სოციალური აზროვნებაც.

დღეს აბსურდია იმის თქმა, რომ ყოველგვარ პირობებში ყოველ საზოგადოებრივ ერთეულისთვის ერთნაირი სოციალურ პოლიტიკური ცხოვრება არის საჭირო და სასარგებლო.

ვინ არ იცის დღეს, რომ ის რაც აუცილებელია ინგლისისათვის ან საფრანგეთისათვის ურომლისოთ პირდაპირ წარმოუდგენელია მათი ყოფა-ცხოვრება შესაძლებელია, მავნებელი და დამღუპველიც შეიქნეს რუსეთის, ჩინეთისა, ან რომელიმე სხვა ჩამორჩენილ ეროვნებისათვის.

ყველაფერი დროსა გარემოებასა და ადგილობრივ პირობებზეა დამოკიდებული;

როგორც ვიცით, დიდი ხანი არ არის, მას შემდეგ, რაც ჩინეთში შემოიღეს რესპუბლიკური მართვა-გამგეობა, რომელსაც სათავეში პრეზიდენტიც კი ჩაუყენეს, მაგრამ ის, რაც კანონიერი და შესაფერისია დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებისთვის, გამოუსადეგარი შეიქნა ჩინეთისათვის, სადაც დემოკრატიული წყობილებისათვის, მოუმზადებელი შეიქმნა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სულ სხვაგვარ სოციალურ და პოლიტიკურ პირობებში მყოფი ჩინეთის ხალხი. ეს ხალხი დღესაც ვერ შეურიგებია ახალ პოლიტიკურ წესწყობილებას და ძველი რეჟიმის აღდგენას ეწირება მთელი თავისი ძალ-ღონით.

ჩვენის აზრით, არც რუსეთში იქნებოდა მოსახერხებელი წმინდა-წყალის დემოკრატიულ მართვა-გამგეობის განხორციელება, რადგან რუსეთის ხალხი, ნახევრათ ველური, პოლიტიკურ წრთვნას უჩვევი და კულტურულად მეტათ ჩამორჩენილი საზოგადოებრივი ერთეულია.

დღევანდელმა მომენტმა,—როცა ყველა მონარქიული და რესპუბლიკანური სახელმწიფო გამოვიდა საომარ ასპარეზზე და თვითეული მათგანი იძულებულია გამოამჟღავნოს თავისი ორგანიზაციული ნიჭი და კულტურული შემოქმედება—ნათლად დაგვანახა, რომ ზოგიერთ სახელმწიფოთა მონარქიულ-კონსტიტუციური წესწყობილება (მაგ. გერმანიასი) არამც თუ არ ჩამოუვარდება დემოკრატიულ ხასიათის პოლიტიკურ მართვა გამგეობას, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში, კიდევაც სჯობნის მას.

სამწუხაროდ ქართული აზროვნება ვერც პოლიტიკურ კითხვების გათვალისწინებაში ასცდა შაბლონს, აბსოლიუტურ მსჯელობას და დემოკრატიულ წესწყობილების უპირატესობა აღიარა ყოველთვის და ყოველგან.

ჩვენი ინტელიგენციის ერთ ჯგუფში დღესაც გავრცელებულია ყოვლად შეუწყნარებელი და ყალბი აზროვნება რომლის თანახმად ძველი, დრო გადასული ფეოდალური რეჟიმის წარმომადგენელი თავად—აზნაურობა უნდა მოისპოს აუცილებლად, ამ სიტყვის ნამდვილი და პირდაპირ მნიშვნელობით.

ჩვენ, რასაკვირველია, ძლიერ კარგად გვესმის, რომ დღევანდელ პირობებში, თავად—აზნაურობა მოკლებულია წინანდელ მნიშვნელობას და იგი თანდათან უძლურდება და უთმობს თავის როლს ახალ სოციალურ კატეგორიას,—ბურჟუაზიას,—მაგრამ ეს პროცესი ისე კი არ ხდება როგორც ზოგიერთს ჰგონია ჩვენში რამედ ამ ძველი რეჟიმის წარმომადგენელნი გარემოების ძალით იძულებული ხდებიან შეეჩვიონ ამ ახალი ძალის, ბურჟუაზიის მიერ შექმნილ ცხოვრების ახალ პირობებს, გარდიქმნენ და შეითვისონ მისი ფსიხოლოგია, ასე ყოფილა სხვაგან და ჩვენშიც ასე უნდა მოხდეს თორემ მთელი წოდების მოსპობა, კიდევაც რომ ეს შესაძლო იყოს, დიდი უბედურება იქნებოდა ჩვენისთანა ისედაც პატარა და მცირე რიცხოვან ერისათვის.

რასაკვირველია ჩვენ ვერავინ დაგვწამებს დემოკრატიული პრინციპის მოღალატეობას, რადგან ჩვენი პოლიტიკური იდეალია საზოგადოებრივ ცხოვრების სრული დემოკრატიზაცია,—ხალხის მიერ თავის საკუთარ ხელში ჩაგდება სახელმწიფოებრივი მართვა გამგეობისა,—მაგრამ ამ ხალხისვე ინტერესები მოითხოვს, რომ ეს ხდებოდეს არა ერთის ხელის დაკვრით, კატასტროფიულად, დროისა და პირობების გაუთვალისწინებლად, ყველგან ერთი და იმავე მაშტაბით, არამედ ამას წინ უნდა უსწრებდეს მეტათ ფრთხილი და გონიერი მეტოდიური მუშაობა მიმართული ამ ხალხის გონებრივ და ზნეობრივ ამაღლებისაკენ, თორემ როგორც ბავშვს არ შეუძლია დამოუკიდებლად მოქმედება, ისე ვერც მოუმზადებელი და ჩამორჩენილი ხალხი ვერ შესძლებს საზოგადოებრივ ცხოვრების სათავეში მოქცევას მეტად რთულ პოლიტიკური და სახელმწიფოებრივ საქმეების მორთვას და გაძღოლას.

ის.

---

## ქართული პრესა.

ეპ. ლეონიდი, რომელსაც ავტოკეფალიის საკითხისადმი გულგრილობას სწამებენ, გაზ. „საქართ.“ სხვათაშორის შემდეგსა სწერს:

განგებ და მოსაზრებით არა ვთხოვე რა ბ. ვოლჟინს ავტოკეფალიის შესახებ, რადგანაც ვოლჟინთან და მისფერებთან ამ საქმეზე ხვეწნა-მუდარას სასულიერო პირების მხრივ მე ვთვლი დიდ შეცდომად და სასტიკ უტაქტობად შემდეგ იმ აქტისა, რომელიც ხელში უჭირავს თვითეულ ქართ. მღვდელთმთავარს. ეს აქტი არის უწმინდესი სინოდის ბრძანება, რომელიც სიტყვა-სიტყვით იკითხება ასე: ბრძანებისამებრ

მისის იმპერატორობის უდიდებულესობისა. უწმიდესმა და უმართებულესმა სინოდმა მოისმინეს წინადადება: ბ. უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორისა, აგვისტოს 15-სა № 6541-ითა, რომელშიაც მოხსენებულია, რომ იმ შუამავლობისა გამო, რომელიც საქართველოს ექსარხოსად ყოფილის, არქიეპისკოპოსის ნიკოლოზის საშუალებით აღძრეს ეპისკოპოსებმა: იმერეთისა, გურია-სამეგრელოისამ, გორისა და ალავერდისამ, რომ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალობა მინიჭებოდა. ხელმწიფე იმპერატორმა, მის, ობერ-პროკურორის, უქვეშევრდომილეს მოხსენებაზე აგვისტოს 11 დღესა, უმაღლესად ინება: გამოეცხადოს დასახელებულ ეპისკოპოსებს, რომ საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობისა გარდაეცა განსახილველად სრულიად რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებას".

მოყვანილი ბრძანება მეფისა ვოლჟინისთვინაც და იმპერატორის ყველა ქვეშევრდომისთვინაც გაუტეხელი მცნებაა. ავტოკეფალიის საკითხი შეწყნარებული და მორიგ საკითხადაა დაყენებული უმაღლესი ბრძანებით და რაღა უნდა მეთხოვა ვოლჟინისთვის? ჩვენთვის საჭიროა დღეს ვოლჟინებთან ხვეწნა-მუდარა კი არა, არამედ ის, რომ ჩვენმა ერმა შეიგნოს ავტოკეფალიის საჭიროება, ქართველი ერი გაიმსჭვალოს თავისი ეკლესიის დამოუკიდებლობის მტკიცე სურვილით, ქართველობა გაერთიანდეს ამ საკითხში და წინდაწინ მოემზადოს, რომ მისი ხმა, რაც შეიძლება, მკვეთრად და შეთანხმებულად გაისმას იმ კრებაზე, რომელსაც უმაღლესად მინდობილი აქვს მისი განხილვა. ავტოკეფალია ესაჭიროება მთელ მორწმუნე ერს, ავტოკეფალია უნდა მოითხოვოს თვითეულმა ქართულმა მრევლმა, ავტოკეფალიაზე დღეს ხმა უნდა ამოიღოს ქართ. ეკ. სამწყსომ. ქართვ. სამღვდელოებამ თავისი შეასრულა, ამ ხელად ჯერი ხალხზეა მიმდგარი და სავალალოდ მიმაჩნია, რომ ამ მხრივ უმოქმედობას იჩენს საერო საზოგადოება. თუ ვისმეს უნდა გაეცხადებინა ვოლჟინისთვის ავტოკეფალიის საჭიროებაზე, უნდა გაეცხადებინათ ქართული პრესისა და საერო წოდებათა წარმომადგენლებს. აი ესაა გასაკიცხდასაგმობი და არა სამღვდელოების გაჩუმება აღებულ შემთხვევაში, რადგანაც სწორედ ვოლჟინის თანამდებობის პირები ამტკიცებდნენ და ამტკიცებენ' რომ ავტოკეფალიას თხოულობს ქართველი სამღვდელოება და არა ერი, არა ქართული ეკლესიის სამწყსო. აი ამ მოსაზრებათა გამო ვარჩიე ბ. ვოლჟინის ჩამოსვლის დროს გაჩუმება ავტოკეფალიის შესახებ და დეე საზოგადოებამ გადასწყვიტოს, რა ფასი აქვს ამ შემთხვევაში „ძველი ავტოკეფალისტის„ გამოლაშქრებას ჩემი მოღვაწეობის წინააღმდეგ".

ჩვენ სრულიად ეჭვი არ შეგვაქვს ყოვლად სამღვდელოს გულწრფელობაში და არც შეგვიძლია მოვსთხოვოთ რუსის სამსახურში მყოფ ადამიანს იმაზე მეტი რაც მას შეუძლია.

მაშინ ქართველ მასასაც მეტი ხელმძღვანელები გაუჩნდებოდა.

# ახალი ამბავი.

✦ 11 ამ თვეს დანიშნული აყო ქალაქის საბჭოს სხდომა, მაგრამ ხმოსანთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო კრება არ შესდგა.

ძალიან გვაკვირვებს ბ-ნ ხმოსანთა გულგრილობა, მაშინ, როდესაც ყველამ იცოდა, რომ დიდად საგულისხმიერო და საზოგადოებრივ მნიშვნელობის საკითხები იყო გადასაწყვეტი.

✦ გუშინ ჩვენ მოხსენებული გვქონდა რომ ქუთაისში უნდა დაარსდეს კოოპერატიული სასადილოო. ბევრი სია მოვნებით შეხვდა ამ ამბავს. ამ ჟამად ადგენს სასდილოს ხარჯთ აღრიცხვას.

საგანგებო კომისია ამ დღეებში დაასრულებს ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას.

✦ „კოოპერაციის" წევრთა საზოგადო კრება განზრახულია მოწვეულ იქმნეს კვირისათვის (18 ეკენისთვე).

✦ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობამ ამ დღეებში მოწერილობა დაუგზავნა ქუთაისის მაზრის ყველა საზოგადოების მამასახლისებს, გამოუგზავნონ გამგეობას სიები ომისა თუ სხვა სტიქიონისაგან დაზარალებულთა, დახმარების აღმოსაჩენად

✦ როგორც თბილისიდან გვატყობინებენ ჩვენი დამსახურებული მსახიობთ და საზოგადო მოღვაწე ვალერიან გუნიამ მძიმე ავათ ყოფილა.

✦ კავკასიის სამასწავლებლო ოლქის ყველა სასწავლებლებს დაეგზავნათ ცირკულიარული მოწერილობა იმის შესახებ, რომ მომავალ სამასწავლებლო წელს (1916—17 წ) გამოცდები არ იქნება და მოსწავლეებს კლასიდან კლასში გადაიყვანენ ნიშნების მიხედვით. გამოცდების მაგიერ იქნება შემოწმება იმ მოწაფეთა ცოდნისა, რომლებიც საგნებში სუსტნი აღმოჩნდებიან.

ეს ცირკულიარი უსაყვედურებს ყველა იმ სასწავლებელთ, რომელთაც შარშან ბოროტად ისარგებლეს შემოწმებით (რეპეტეციებით) და ეს შემოწმება გამოცდებზე უარესად გადააქციეს.

✦ ამ ჟამად საწერ და სხვა ქაღალდის მომხმარებლებს და გამყიდველებს დაურიგდათ ბლანკები, რომლებზედაც უნდა მაიწოდონ ცნობა საგაჭრო სამინისტროსთან არსებულ ქაღალდის კრიზისის წინააღმდეგ მომქმედ კომიტეტს, თუ რამდენი ქაღალდი ეხარჯებათ წლიურათ თავიანთ დაწესებულებაში.

✦ როგორც გავიგეთ, ქუთაისში უნდა შედგეს ცხოველთა მფარველი საზოგადოება. საზოგადოების მიზანია თავიანთ აგენტების საშუალებით თვალყური ადევნონ, რომ ცხოველებს ეპყრობოდნენ შებრალებით შენიშნულნი ცხოველებისადმი ცუდ მოპყრობაში, სასტიკათ იქნებიან დასჯილნი.

✦ პოლიციის ქუჩა მეტად უყურადღებოდ არის დარჩენილი. ქუჩა გაუნათლებელია და ქვაფენილები ალაგ-ალაგ ჩამტვრეული. საჭიროა ვისგანაც ჯერ არს, ყურადღება მიექცეს.

✦ სოფ. ცუცხვათში (ქუთ. მაზრა) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს დაარსონ ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა.

წელს სეზონს იჭერს ქუთაისის დრამატიული საზოგადოება. დასი უკვე შედგა დასში შედიან: ქ ქ. ნინო ჩხეიძე, ეფემია მესხი, მარო მდივანი, ს. ბეჟანიშვილი და ლოლობერიძე. ბ. ბ. ა. იმედაშვილი, ა. ყალაბეგიშვილი, პ. კორიშელი, ა. მურუსიძე, ვ. ჩხიკვაძე, გომელაური და ვლ. სარელი.

რეჟისორნი. ა. იმედაშვილი და აკ. ფალავა, სცენარიუსი ა. გუგუშვილი და მოკარნახე ბ. ბეგლარიძე. რეპეტიციები უკვე დაიწყო. პირველი წარმოდგენა გაიმართება შაბათს 17 სექტემბერს.

თეატრი რამოდენადაც შესაძლებელი იყო შეკეთებულია, დეკორაციებიც შეიძინეს ზოგი ახალი და ზოგიც გაასხლეს.

✦ მეორე ალექსანდროვის ქუჩაზე დიდი უსუფთაობა სუფევს: ქუჩის ერთ თავში აგდია მკვდარი კატა—მეორე თავში ქათამი, ორივე დამპალია და ყარს, ასე რომ გამვლელებს არ შეუძლიათ ისე გაიარონ თუ ცხვირზე ხელი არ მიიფარეს. საჭიროა ასეთ საშინელ სიბინძურეს ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერარს.

✦ მასწ. კირილე ძუძუაშვილმა რუსულიდან ქართულად გადმოთარგმნა ჰენრიხ სენკევიჩის რომანი „,პან-ვოლოდიევსკი'' და ვიქტორ ჰიუგოს რომანი „,ზღვის მაშვრალნი''.

✦ რვა ამ თვეს ბათუმში შმაევსკის თეატრში ბ ნ ალ. წუწუნავას რეჟისორობით ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა მსახიობ ბარველისა და კავთელის მონაწილეობით წარმოადგინეს: „პირი მზე", „და" გიუ დე მოპასანისა და „სიმართლე". წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა და აუარებელი მაყურებელი დაესწრო. ხალხი კმაყოფილი დარჩა.

✦ ექიმი ალშიბაია სამხედრო ექიმად ბაქოში გადაიყვანეს და 15 ამ თვეს თანამდებობის ასასრულებლად დანიშნულები სამებრ. გაემგზავრება.

### თფილისი.

— შაბათს, 10 ეკენისთვეს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში სენატორ რუევსკის კავკასიის ერობის შესახებ მოხსენება უნდა წაეკითხა, მაგრამ მისი ავადმყოფობის გამო ეს ვერ მოხერხდა.

— 18 ეკენისთვეს, მეფის ნაცვლის სამხედრო ნაწილის თანაშემწის ინფ. გენერლის ნ. ნ. იანუშკევიჩის თავჯდომარეობით დანიშნულია კრება საგანგებო თათბირისა, რომელიც განზრახულია მუდმივ იქმნას არსებული. ამ მუდმივმა თათბირმა უპირველეს ყოვლისა საქონლის გადატანის გეგმა უნდა შეიმუშავოს და შემდეგ რამდენიმე სექციაზე დაიყოს, სხვათა შორის საკვებავ სექციაზე, რომლის სხდომებზედაც მიწვეულ იქმნებიან ქალაქების მოურავები და რწმუნებულნი საკვებ საქმეებისა.

— ვაჟთა პირველ გიმნაზიის დირექტორი ი. ს. ღულაძე ინიშნება საოლქო ინსპექტორად კავკ. სამოსწავლო ოლქისა, ლ. გ. ლაპატინსკის ადგილზე, რომელიც სამსახურს თავს ანებებს.

— ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ დაამტკიცა ბათომის რაიონულ განყოფილების მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა კანდიდატები ამ ოლქის სკოლებისა.

— 11 და 12 ამა თვეს თბილისში ისევ ცოტა პური ცხვებოდა. ფურნეებს და თორნეებს დილა ადრიან მოყოლებული მთელი დღის განმავლობაში აუარებელი ხალხი აწყდებოდა, მაგრამ ბევრნი, განსაკუთრებით ჯანსუსტი ადამიანები, სრულიად ხელცარიელნი რჩებოდნენ. ვისაც გამოჰქონდა პური, ისიც უმცხვარი, ნაკლები წონისა და გაფუჭებულ ფქვილისაგან გამომცხვარი.

— რკინის გზის მთავარ გამგეობამ გუშინ დეპეშით აცნობა ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობას რომ სამხედრო დროის გამო ფული მიეცემათ ჯილდოთ მთელ ამიერ კავკასიის რკინის გზებზე იმ გარჩევით, რომ სადგურ ალტაგლიდან ბაქო სურახანის რკინის გზის მსახურნი 1 ხარისხის ჯილდოს ფულს მიიღებენ, ხოლო მცხეთა სამტრედიის ლიანდაგისა და დანარჩენ შტოებისა მეორე ხარისხის ჯილდოს

### ჩვენებური საქმიანობა.

როგორც უკვე ცნობილია,, უმაღლესი მთავრობის ბრძანებისამებრ მცირე რიცხოვან ქართულ სასწავლებლებს ნება დართეს ქართულათ ასწავლონ ბავშვებს ის საგნები, რომელშიც აქამდის რუსულად ისწავლებოდა.

როგორც ყველა ჩვენ სასარგებლო რამე ახალ მოვლენას სჩვევია, რუსეთის ბიუროკრატიის მიერ გამეტებულ ამ სასიამოვნო წყალობასაც, სრულიად მოუმზადებელნი შევხვდით.

თითქმის არც ერთ საგანში ჩვენ არ გვაქვს სახელმძღვანელოები და თუ გვაქვს ისიც ნათარგმნი და შემოკლებული

დღეს ჩვენს პედაგოგებს კვლავ აზრა და ჰქონიათ სთარგმნონ სახელმძღვანელოები.

მაგალითად თბილისის ქართულ გიმნაზიის ისტორიის მასწავლებელთა კომისიას გადაუწყვეტია გამოსცეს ცნობილ ისტორიკოსს ვიპპერის ქართულად თარგმნილი სახელმძღვანელო.

ეს აზრი ყოვლად შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს; ჯერ ერთი, იმიტომ რომ რაც უნდა კარგი ნათარგმნი იყოს იგი სახელმძღვანელო, მაინც ნათარგმნი რჩება და როგორც ასეთი მას მაინც დაეტყობა რუსული ენის გავლენა; ასეთია საერთოდ ნათარგმნი წიგნის ბედი, რაც უნდა მარჯვე მთარგმნელის მიერ იყოს იგი შესრულებული, მეორე და მთავარი დაბრკოლება ნათარგმნი სახელმძღვანელოების ხმარებისათვის კიდევ ის არის, რომ რად უნდა ვიცნოთ ჩვენ სამაგალითოდ ვიპპერის მძიმე ენით დაწერილი და რამდენადმე უკვე მოძველებული მეთოდის სახელმძღვანელო! ამასთანავე ამ წიგნს ბევრი სხვა წვრილმანი ნაკლი აქვს, რაშიაც ისტორიის ყოველი მასწავლებელი ადვილად დარწმუნდება მის გადათვალიერების შემდეგ.

გაზ. „სამშობლოს" კანტორა
მოაგონებს თავის წლიურ ხელის მომწერთ, ლ
ჩქარონ ხვედრი ფულის შემოტანა.

საჭიროა ქართულ ისტორის მცოდნეთა მიერ შედგენილი სახელმძღვანელოების შემოღება და თუ ჯერ არ მოგვეპოვება ისეთი ადამიანი, რომელსაც მარტო ეტვირთა ეს საქმე მაშინ რამდენიმე კაცმა იდვას თავს ეს. საერთო კოლექტიური შრომა მუდამ უფრო ნაყოფიერია.

მაგრამ ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული სახელმძღვანელოები უნდა იყოს დაწერილი წმინდა და მსუბუქ ქართული ენით, თორემ ისედაც გასაჭირში ჩავარდნილ ქართველ მასწავლებელს გული გაუწყალდებათ, ხოლო თვით ბავშვებს-კი თვით საგანი შესძულდებათ.

ბანი.

### ვაჭრობა და მრეწველობა.

საუფლისწულო მამულების მთავარი გამგეობა მიწის მკვლევართა კომისიას გზავნის ქუთაისის გუბერნიაში. ამ კომისიას მინდობილი აქვს აღმოაჩინოს ის მადნეულობა, რომელიც ქუთ გუბ საუფლისწულო მამულებშია გაფანტული.

— —

თბილისის თამბაქოს დამმუშავებელი ქარხანა საფაროვისა დახურულა, რადგანაც მუშებს ხელფასის მომატება უთხოვიათ, ქარხნის პატრონს ეს შეუძლებლად უცვნია და ქარხანა შეუჩერებია.

— —

უმაღლეს ფინანსიურ-ეკონომიურ საბჭოს დაუდგენია დაარსდეს ისეთი ნახევრად ოფიციალური, ნახევრად საზოგადოებრივი ორგანო, რომელიც მთელი ფართლეულების წარმოებას თვალს ადევნებდეს და დამუშავებულ საქონელს სავაჭროთა შორის გაანაწილებდეს. ამით სურთ თავიდან აიცალონ სახელმწიფოს ის ცუდი მოვლენა, რომ ათასი და ათიათასი თოფობით დამზადებულ ფართალს მწარმოებლები თუ შუამავლები მალავენ ხოლმე საქონელზე ფასების აწევის მოლოდინში.

— —

ინჟინერთა ერთ ჯგუფს გზათა მინისტრტრეპოვისთვის უთხოვიათ ნება დართონ მათ მდ. არაგვისა და თერგის ჩანჩქერები ელექტრონის ძალის დასამუშავებლად გამოიყენონ.

— —

თბილისში ,,კომეტას'' თამბაქოს ქარხანაში მუშებს ეკონომიურ ნიადაგზე გაფიცვა მოუხდენიათ. მოთხოვნილებანი დაუკმაყოფილებიათ და მუშაობა განუახლებიათ.

— —

იაპონიის სავაჭრო ფირმებს გადაუწყვეტიათ თბილისს დიდი სავაჭრო პალატა გახსნან საწყობებით, რათა მუდმივი აღებმიცემობა გამართონ კავკასიასთან.

### მცირე შენიშვნა.

#### ივერიის ეკლესიის ქონების შესახებ.

გაზ. საქართველოს №107-ში ბა—ნი. ბ. კაპანაძის წერილში ივერიის ეკლესიის ქონებათა ნუსხიდან გამოტოვებულია სამეგრელოს ეპარქიის კუთვნილი მამულები, რომელიც რუსეთის მთავრობამ ჩაიბარა ფაქტიურად 1857 წელს, ხოლო ოფიციალურად 1880 წ. ამ მამულების ჩაბარება მოხდა იმ ინვენტარულ აღწერილობის თანახმად, რომელიც ქუთაისის გენერალ გუბერნატორის გრაფ ლევაშოვის ბრძანებით მაზრის უფროსებმა მოახდინეს. სამეგრელოს ეპარქიის მამულები მდებარეობდა ზუგდიდის, სენაკის და ლეჩხუმის მაზრებში.

ამ სამივე მაზრაში ეკლესიის კუთვნილება იყო: საეკლესიო გლეხები 2811 და დროებით ვალდებულნი 2562 ოჯახი ამ გლეხებს სანადელო მიწები, სავენახეები, ტყეები და სხვა ადგილები უჭირავა 26267 ქცევას ანუ 10218 დესიატინას, ხოლო თავისუფალი მიწა—წყალი, რომელიც ეპარქიის სრულს განკარგულებაში იყო, შეადგენდა 17263 ქცევას. აგრეთვე იყო შემოსავლის სხვა და სხვა წყაროები, რომელთაგან მაშინდელს პირობებში წლიურად შემოდიოდა 898 მანეთი ეს მამულები, ახლანდელი დირებულობის კვალობაზე რომ ვიანგარიშოთ, ეღირება ერთ მილიონზე მეტად.

ბ. ჟვანია.

### ფელდმარშალი ჰინდენბურგი.

„რუს. ვედომოსტ". კორესპოდენტი მ. ლურიე საყურადღებო ცნობებს იტყობინება ფელდმარშალ ჰინდენბურგის შესახებ, რომელსაც ამ უკანასკნელ ხანებში იმპ. ვილჰელმი წყალობის თვალით არ უცქეროდა.

გენ. ფალკენგაინი, როგორც იუწყებიან, იმპერ. ვილჰელმს დიდ კაცად ჰყავდა მიჩნეული და აკი სწორედ ამისათვის იგი დიდხანს ითვლებოდა მთავარ-სარდლის შტაბის უფროსად და სამხედრო მინისტრად. ამგვარად, თუ გენ. ფლაკენგაინი ვილჰელმის ყურადღებას იპყრობდა, ჰინდენბურგს, პირიქით, არა სწყალობდა. როგორც ვიცით ჰინდენბურგი სამხედრო საქმის მეცნიერია, აკადემიის პროფესორი, რომელმაც ომამდე ერთი შესანიშნავი ნაშრომი გამოუშვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიფარონ აღმოსავლეთ პრუსია, როგორ გამოიყენონ მაზურის ტბები, აქვე ნათქვამია თუ გერმანეთს მოპირდაპირე რა გზით შეუტევს.

ერთხელ აღლუმის დროს ჰინდენბურგმა დაამარცხა და ალყა შემოარტყა იმ ჯარს რომელსაც ვილჰელმი სარდლობდა, რაც რომ ვარჯიშობის გეგმაში არ შედიოდა. მალე იმპერატორმა თანამდებობიდან გადააყენა და როდესაც ეს ომი დაიწყეს, ჰინდენბურგის გარდა ყველა გამოჩინებული გენერალი სხვა და სხვა თანამდებობაზე დანიშნა.

მის ბიოგრაფიაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ ომის დროს იგი ჰანოვერში ცხოვრობდა, როგორც კერძო პირი, მაგრამ ომს დიდის ყურადღებით აქცევდა თვალყურს და ბრძოლის რუქას ხელიდან არ უშვებდა ჰინდენბურგი ამჩნევდა, რომ გენ რენენკამფი და სამსონოვი იმ გზით უტევდენ გერმანელებს აღმოსავლეთ ასპარეზზე როგორც მას ჰქონდა დაწერილი, ხოლო გერმანელთა სარდლები მის მიერ ნაჩვენებ გზას არ მისდევდნენ, რაც უნუგეშოთ დარჩენილს ძლიერ სტანჯავდა. მხოლოდ მაშინ, როდესაც ბერლინი უკიდურესმა შიშმა შეიპყრო, იმპერატორმა მშრალი ოფიციალი ბრძანება გაუგზავნა ჰინდენბურგს, რომ მას დაუყონებლივ სარდლობა ეკისრნა და ამასთანავე ჰანოვერში ჩქარი მატარებელიც გაუგზავნა ექვსი დღის შემდეგ მაზურის ტბებთან ბრძოლა გაჩაღდა, რამაც ჰინდერბურგს ღვთაებრივი სახელი მოუხვეჭა. ჰინდენბურგი მრავალი თვისებით კუტუზოვს წააგავს. აღსანიშნავია, რომ ჰინდენბურგი ომის ორი წლის განმავლობაში იმგვარსავე ცხოვრებას განაგრძობს, როგორსაც ჰანოვერში ატარებდა. ადრე იძინებს და ნებას არავის აძლევს ვინემ შეაწუხოს, კითხულობს ფრანგულ რომანსებს, სადილს შემდეგ მასლაათობს, ამასთანავე სამი საათის განმავლობაში ლუდს შეექცევა და ნებას არავის აძლევს ომზე ილაპარაკოს. მშვიდი ხასიათისაა და სიმშვიდეს არასდროს არა ჰკარგავს.

ჰინდენბურგი წინააღმდეგია „ფართო ანექსიისა", ისე რომ იმპერატორი ამ უკანასკნელ ხანამდე მას სრულიად ჩრდილავდა და ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ ამ ბოლო დროს ინახულა.

### წერილი ოზურგეთიდან.

(ოზურგეთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გარშემო*).

ბანკის დააწესებულება ახალი ფეხადგმულია ჩვენში და თავისი ბუნებით ძლიერ ნაზი და სათუთი ქმნილებაა; მის მეთაურებს ადრევე უნდა ჰქონდეთ გათვალისწინებული ეს გარემოება: ისეთი ხალ-

*) ვბეჭდავთ ამ წერილს ავტორის პასუხისმგებლობით.

ხი უნდა ამოირჩიონ აღმასრულებელ ორგანოში და მოსამსახურეთა შტატი ისეთი ნდობით უნდა იყვნენ აღჭურვილი კლიენტურის თვალში, რომელნიც საკუთარ, პირად საქმეზე მეტად მოუფრთხილდებიან და იზრუნებენ ამ დაწესებულებათა ზრდა განვითარებაზე, წევრთა მიზიდვაზე; ისეთი პირნი უნდა ედგნენ სათავეში, რომელთაც მხოლოდ თვით საქმე აინტერესებთ და არა ტყუილ უბრალო ბაქი ბუქი და გამგეობის თავმჯდომარისა და დირექტორის სავარძელი. უკიდურესი მიუდგომელი და მიუკერძოებელი პიროვნება უნდა მართავდეს და უძღოდეს წინ ასეთ დაწესებულებათ.

სამწუხაროდ, ოზურგეთის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში ვერ ვხედავთ ამას; ამ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეთ, ეს მეორე წელიწადია, არჩეულია ადგილობრივი ვაჭარი ბ. ა. კ—ძე, რომელსაც გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, სულ არ აინტერესებს მთელი გურიისთვის ამ ფრიად სასარგებლო და ნორჩი დაწესებულების ბედი, არამედ მისი მიზანია მხოლოდ გამგეობის თავმჯდომარის სახელი ატაროს და ყველგან თავი მოჰქონდეს ამ თანამდებობით, თორემ ამ ხნის განმავლობაში იმდენს შეეცდებოდა, რომ ამ დაწესებულების საქმეებში „ანი" გაერჩია „ბანიდან".

ბ. კ—ძე ყოველ შარაზე გაჰკივის, რომ საზოგადო საქმეში არა მრწამს ნათლი მამობა და ნამდვილად კი სწორედ „ნათლიმამურ" პოლიტიკას აწარმოებს და თავმჯდომარის თანამდებობის წყალობით ხშირად თავისიც გააქვს. აი მაგალითებიც: ამ წლის საზოგადო კრებაზე წევრმა ბ. ი. ლომაძემ გააკრიტიკა გამგეობის მოქმედება და არ გაუვლია ერთ კვირას, რომ ბ. კ—ძემ უარი უთხრა თამასუქის განაღდებაზე, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად უზრუნველყოფილი და სანდო თავდები უწერდა ხელს

ბ. კ—ძე ირონიით იღიმებოდა ღ ბრძანებდა რომ „უნდა ვაგრძნობინო ჩემი ძალა, როგორ გაბედა საზოგადო კრებაზე ჩემი მოქმედების გაკრიტიკება?" მეორე მაგალითი: ბ. ბეჟ. ხუნდაძემ ისურვა წევრად შემოსვლა, ბ. კ—ძე კი წინ აღუდგა და უარს ამბობდა მის მიღებაზე, რადგან მისი პიროვნება არ მოსწონს, ალბად იმ მოსაზრებით, რომ ბ. კ—ძე მოწინავე მემარცხენეა (!) და ბ. ხუნდაძე კი „მემარჯვენე-შავრაზმელი". მესამე: საზოგადოების ერთი წევრი (გვარი აღარ მახსოვს) სწორედ ბ. კ—ძის დაჟინებით მიიღო მიმღებმა კომიტეტმა და თამასუქსაც უნაღდებდნენ, სანამ უსიამოვნება არ მოუვიდა ამ წევრს ბ. კ—ძესთან და შემდეგ კი მტკიცე უარი სტკიცა ბ. დიქტატორმა. მეოთხე: მარტის პირველ რიცხვებში თბილისს ბრძანდებოდა ბ. კ—ძე და ჩამოსვლისას ყველას ყურები გამოუჭედა: „თბილისის სავაჭრო ბანკის დირექტორს ბ. ხუდადოვს მოველაპარაკე და ნდობას გაგვიხსნისო" და წარმოიდგინეთ გამგეობის მეორე წევრის განცვიფრება, როდესაც ბანკს უკვე მიღებული ჰქონდა ცირკულიარული წერილი, რომ ბ ხუდადოვი 26 თებერვალს გარდაცვალაო. სიცრუე და ისიც ასეთი წარბშეუხრელი არსად გამიგონია! მაგრამ სხვას რას უნდა მოყლოდეს ადამიანი ბ. კ—ძისაგან, რომელიც „დანოსებს" აგზავნის ხოლმე სადაც ჯერ არს და ასეთ საქმეს სჩადის არა ბანკის თავმჯდომარეობის დროს, არამედ ასეთ საქმეს სჩადიოდა წინადაც ქალაქის მოურავობის დროსაც.

შებრძანდით ხარჯის ამკრეფ ინსპექტორის სამართველოში, თუნდა ქალაქის თვითმართველობაში და იხილეთ „დანოსი" მესაათე ნოე ამაშმაძესა და ვარდენ თავაძის შესახებ.

ჩაკერებულია საქმეებში: № 1369; 30 აგვისტო 1913 წ.).

ა.

(დასასრული იქნება).

## პროვინციის ცხოვრება.

**სოფ. რცხილათი.** (ზემო იმერეთი). რომ იტყვიან ღვთის ანაბარად მიტოვებულს სოფელს სწორეთ ეს არის, არავინ ამ სოფლისთვის არ ზრუნავს, თავს არ იტკივებს. ხალხი უკიდურეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი, ჯერ ყოველთვის, და მერე ამ ომიანობის დროს, ვინც ოჯახის მრჩენელი იყო, თითქმის ყველანი ომში გაიწვიეს, დარჩა სატირალად და უპატრონოდ ზოგიერთი ოჯახი.

კვირაში ორ დღეს თუ გაძღებიან ჭადით, დანარჩენ დროს შიმშილს განიცდიან. ჭადიც სად არის საძღომათ: ამბობდენ, მთავრობა სიმინდით შეგვეწევაო, მამასახლისმა ორჯერ ასწერა აქაურები და წარუდგინა მთავრობას, მაგრამ სიმინდი ჯერაც არ მოსულა, როგორც სჩანს, ეს აწერილობა სოფლის კანცელარიას არ გასცილებია, თორემ ყველამ მიიღო სიმინდი და რაღა რცხილათის საზოგადოება შეადგენს გამონაკლისს.

შიმშილობამ აქაური მცხოვრებნი იძულებული გახადა სამუშაოდ წასულიყვნენ სხვადასხვა ადგილას. ზოგი სარაყამიშისკენ წავიდა, ზოგიც ტრაპიზონისაკენ. მაგრამ მათდა საუბედუროდ, ფულის შოვნის მაგივრად ციებ ცხელება და სხვა ათასგვარი სნეულება ჩამოიტანა. ნაშოვნი ფული მათ ექიმობას არ ეყო.

ხალხი უმეცრების მორევშია ჩაცვენილი, რისგანაც წარმოდგება სხვადასხვა ცრუმორწმუნეობის თაყვანისცემა: აი მაგალითიც. ფერისცვალების მეორე დღეს დამით მთელი სოფლიდან მოგროვდენ ეკლესიაზე გასათხოვარი და ქვრივი ქალები სალოცავათ, სხვები არ მიიღეს, იწყეს თავისებური ლოცვა, ეკლესიას ფორთხვით უვლიდენ, ყოველ ღამეს ასე იქცეოდენ. ადგილობრივი მღვდელი მივიდა ერთ დამეს და უთხრა მათ: ლოცვის წინააღმდეგი არავინ არის, ყოველ დროს ლოცვა კარგია, და მით უმეტეს დღეს, რომ უბედურ დროში ვართო, მაგრამ სად იყავით ფერისცვალების კვირაში, როდესაც წირვა ლოცვა იყო გამართული და ზიარებაც მიიღესო. ამაზედ უპასუხეს: „ჩვენ ახლა მოგვივიდა მოწერილობა და თქვენც უნდა მოგვსვლოდათო". მღვდელმა უთხრა „მე არავითარი მოწერილობა არ მომსვლიაო, ილოცეთ, შვილებო, მხოლოდ არავითარი უწესობა ჩაიდინოთო". ესეც უთხრეს ქალებმა სხვა სოფლებშიც ასე ლოცულობენ და ჩვენებაც კი ნახესო. განაგრძეს ლოცვა ერთი კვირის განმავლობაში. თოთხმეტ მარიამობისთვეს ღამის პირველ საათზე ეკლესიის გალავანში შეიქნა ერთი კივილ-ყვირილი, ასე რომ გეგონებოდათ თათრის ჯარი თავს დაესხათო. მთელი სოფელი ფეხზე დადგა; სახლებში დრმა მოხუცებულებისა და ბავშების მეტი აღარავინ დარჩენილა, ყველა ეკლესიისკენ მირბოდა იარაღით და ჩირაღდნებით; მაგრამ ქალებმა ახლოს არ მიუშვეს, იძახოდნენ ახლოს არავინ მოხვიდეთო. ამ ყვირილზე მეორე დღისთვის საწირავათ მომზადებული მღვდელიც მოვიდა, ქალების მუქარას ყური არ ათხოვა. მღვდელმა გაოცებით ჰკითხა მათ: რაიყო რა დაგემართათო? ანგელოზები გამოგვეცხადა, ესა და ეს პირი მიუყვანეთ, მაგრამ ჩვენ ხელი მაგრათ მოვკიდეთ და არ გავატანეთო. მართლაც ერთი ხელში ეჭირათ. იქნამდი მივიდა ამ გოგოს აღელვება, რომ ერთ თავის ამხანაგ მლოცველს კუდიანიც კი დაუძახა: საწყალმა ბებერმა ტირილი დაიწყო. რამდენი არ ეცადა მღვდელი, რომ დაემშვიდებია აღელვებული ქალების ბრბო, მაგრამ ამაოთ. მეორე დღეს მარიობას ცხვარი დაკლეს თვითონ არ ჭამეს სხვებს აჭამეს.

ერთი კვირა კიდევ განაგრძეს ამ ნაირი მათისებური ლოცვა და მერე ყველანი ფეხშიშველნი წავიდნენ სოფ. ბოსლევში 20-30 ვერსის მანძილზე, ვითომც იქ წმინდა გიორგის ხატის თაყვანისსაცემათ. ამაზე უარესი ამბავი მოხდა მლოცველ ქალებისაგან მახლობელ ხრეითის ზეცხის ეკლესიაზე თვით მარიობა დღეს წირვაზე. იქ, როგორც დამსწრეებმა გადმომცეს, ქალებმა ყველას წინადადება მისცეს, რომ ეკლესიაში ფეხსაცმელი არავინ შესულიყო, რამაც დიდი აღიაქოთი გამოიწვია. ამ აღიაქოთს მოჰყვა ზოგიერთი კაცის თავის გასისხლიანება. რას მივაწეროთ ამგვარი საქციელი ქალებისა? თუ არ გაუნათლებლობას და უმეცრებას. დროა ჩახვდენ საწყლები, გაიგონ თავის დანიშნულება, გაისარჯონ, რომ მცირე წლოვანები სიმშილით არ დაიხოცონ, იქნებ სულ არ გაცივდეს ზოგიერთების კერა.

ძლიერ კარგი იქნება ამ გვარი ამბების დროს ყველა მღვდელი და მასწავლებელი ხმას ამოიღებდენ და ხალხს შეასმენდენ, თორემ ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს.

ერთი დამსწრეთაგანი.

## რუსეთი.

ქ. ეკატერინოსლავის ახლოს მოკლე ხანში უზარმაზარ საელექტრონო სადგურს ააშენებენ, რომელმაც ტურბინების შემწეობით უნდა იმოქმედოს. ტურბინებს მდ. დნეპრის ჩანჩქერის ძალა აამოძრავებს.

— —

შაქრის განმანაწილებელი სიიმპერიო კომიტეტი მეტად უხერხულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. შაქრის მრეწველები საქონელს ან მალავენ ან და ქარხნებს სრულიად აჩერებენ.

— —

მახლობელ მომავალში სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე, მეფის ბანაკში გაემგზავრება, რათა ხელმწიფე იმპერატორს მოახსენოს სათათბიროს მოქმედების განახლების საჭიროება ეხლანდელ შინაურ მოუწყობლობის ასალაგმავად.

— —

განსაკუთრებულ საბჭოს შესაძლებლად უცვნია დაწიონ პურზე დაწესებული ნიხრი: ქვავზე 10 პროცენტით, ხორბალზე 15 პროცენტით და ქერზე 5 პროცენტით.

— —

ცნობილი ვოსტორგოვი ბევრს ცდილობდა, რომ მოსკოვის ქალაქის თვით მართველობის არჩევნებში სასულიერო პირებსაც მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ უმაღლეს მთავრობას ეს არ შეუწყნარებია.

— —

პეტროგრადის უნივერსიტეტში სახ. საბჭოს წევრის არჩევნებზე ყველაზე მეტი ხმა ჩვენმა დამსახურებულმა პროფესორმა ნ. ი. მარრმა მიიღო.

— —

ტრაპიზონის მიტროპოლიტი ქრისანთე უწმ. სინოდის ნებართვით დროებით თბილისში დასახლდება არქიელის სასახლეში.

— —

შიდა რუსეთის ერთ ერთ გუბერნიიდან ბუხარაში გაგზავნილი 102 ვაგონი შაქარი გზაში დაკარგულა და დანიშნულებისამებრ არ მისულა.

— —

რუსეთის ჩრდილოეთ გუბერნიებში საგრძნობლად აცივებულა და ზოგ ალაგს თოვლიც მოსულა.

— —

პურზე ფასის დასაწესებლად მოწვეულ განსაკუთრებულ ყრილობაზე სამარაში ერთ მემამულეს გულახდილად განუცხადებია. „ჩვენი ბრალი არ არის, რომ პურს ძვირადა ვყიდითო; ჩვენ ტყავს გვაძრობენ, გვძარცვავენ და ჩვენ კიდევ სხვას ვაძრობთ ტყავსაო.

— —

თურქესტანის გენერალ გუბერნატორს ცნობილ კუროპატკინს თურქესტანის ხალხთა წარმომადგენლებთან საუბრის დროს სხვათა შორის უთქვამს; „იყო დრო, როცა რუსების პრესტიჟი რუსეთის ხიშტების სიძლიერეზე ემყარებოდა; ეხლა ადგილობრივი რუსობა ისე უნდა უყურებდეს თურქესტანის დანარჩენ ხალხებს, როგორც უფროსი ძმა უმცროსებს და მათზე ზრუნავდეს".

## უცხოეთი.

გერმანიის საიმპერიო სასურსათო უწყებაში დიდი ბოროტ მოქმედება აღმოუჩენიათ. ამ უწყების ერთერთ წევრს აღმოსავლეთ პრუსიის მემამულეებისაგან 150 ათასი მანეთი ქრთამი აუღია და მთავრობისთვის ძვირად უყიდვინებია პური მემამულეებს 700 ათასი მან. მოუგიათ.

— —

ხმა დადის ნობელის ჯილდოს მშვიდობიანობის მოყვარულობისათვის წელს შვეიცარიას მიაკუთვნებენო.

— —

რეიხსტაგის რამდენიმე დეპუტატს საჭიროდ უცვნია პასუხის მგებელ სამინისტროს დაარსება.

— —

პორტუგალიაში რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვა დამთავრდა.

— —

იაპონია და ამერიკას თავის ინტერესები ჩინეთში შეუთანხმებია ერთმანეთისთვის და დღეიდან შეთანხმებულად იმოქმედებენ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

— —

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ბ. ნიკოლოზ (არხიპო) გოგორიშვილს, რომელმაც შემოსწირა ვანის უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელს 25 მანეთი.

სასწავლებლის ჰედაგოგიური საბჭო.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**

გამომცემელი ამხან. **„სამშობლო"**

### გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანიაში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულათ უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა' ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

liedesgaden für die russihen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensiugnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banbue populaire Suisse, Fond Russepour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროსაგან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное suisse. recommandée Comite internasional de Ia Croix rouge Agence des prisonniers be guerre Genéve.



## რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 6 ს. 50 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. — „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 8 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. 20 „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 20 „ |


## ქართული კედლის კალენდარი 1917 წლისა.

კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზია შეუდგა 1917 წლისათვის ქართული კედლის კალენდრის გამოცემას.

სავაჭრო-სამრეწველო ფირმებს, აგენტურებს და დაწესებულებებს შეუძლიათ წიგნის მაღაზიასთან შეთანხმებით მოათავსონ კალენდარში თავისი განცხადებები მეტად ზომიერ ფასად.

298—4—12.

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო**

## აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

## ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაკტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი"**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლთა. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სააქიმო პრაკტიკულ ლაბორატორიისა" **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე. სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი ერდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)